შირაქი

SHIRAKI

№1 (9.616)
25-იანვარი-1 თებერვალი 2014 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი იწყება

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე არჩილ ბუკია 24 იანვარს კახეთის გუბერნატორს და მუნიციპალიტეტების გამგებლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში დახმარებას 96826 ბენეფიციარი მიიღებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1 თებერვლიდან „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს“ იწყებს. სამინისტროს ინფორმაციით, პროექტის ბიუჯეტი 90 მილიონამდე ლარს შეადგენს და დაახლოებით 800 000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს.

პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 1.25 ჩათვლით ჰექტარის ფართობის სასოფლო—სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის იყენებენ.

ფერმერები, მიწის ფართობის მიხედვით, დაიყოფიან ორ კატეგორიად და მიიღებენ სხვადასხვა ოდენობის სარგებელს: ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა—მდე ფართობის მიწის ნაკვეთი და ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები.

სამინისტროს ცნობით, ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-მდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მათ იყენებენ ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის მიიღებენ 50 ლარის ღირებულების სარგებელს სასოფლო—სამეურნეო საქონლის სახით;

ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-დან (ჩათვლით) - 1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მათ იყენებენ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის, მიიღებენ ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სარგებელს, 1 ჰა—ზე 140 ლარის გაანგარიშებით, ნიადაგის ხვნის სამუშაოების სახით და ასევე ისინი მიიღებენ 50 ლარის ღირებულების სარგებელს, სასოფლო სამეურნეო საქონლის სახით;

ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-დან (ჩათვლით) - 1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მათ გაშენებული აქვთ მრავალწლიანი კულტურები და არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი, მიიღებენ 50 ლარის და ასევე ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სარგებელს, 1 ჰა—ზე 140 ლარის გაანგარიშებით, სასოფლო-სამეურნეო საქონლის სახით;

ბენეფიციარები, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოში ფლობენ ორ ან მეტ სასოფლო—სამეურნეო მიწის ნაკვეთს და მათი ჯამური ფართობი არ აღემატება 5 ჰა—ს, მიიღებენ სარგებელს მხოლოდ ერთ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ბენეფიციარები სარგებელს მიიღებენ ამ ნაკვეთებს შორის უდიდესი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე;

ბენეფიციარები, რომლებიც ფლობენ 0,25 ჰა-მდე სახნავ მიწის ნაკვეთებს მიიღებენ 50 ლარის ღირებულების სარგებელს მხოლოდ სასოფლო სამეურნეო საქონლის სახით.

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები წელს ისარგებლებენ ორი ტიპის ბარათით: ნიადაგის ხვნის სამუშაოებისათვის დარიგდება სასოფლო—სამეურნეო ბარათი (ხვნის ბარათი, 2013 წლის პროექტით გათვალისწინებულის ანალოგიური); სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად, გასული წლისგან განსხვავებით, წელს ფერმერები ისარგებლებენ საბანკო პლასტიკური ბარათით, ე.წ. „აგრობარათით“.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებს, რომელიც ნიადაგის ხვნას და სასოფლო—სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას გულისხმობს, შპს „მექანიზატორი“ და 117 კონტრაქტორი შეასრულებს.

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშოების ხელშეწყობის პროექტი“ აგვისტოში დასრულდება. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტი და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს, ხოლო ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელს, „მცირემიწიან ფერმერთა 2013 წლის საგაზაფხულო სამუშოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში სახელმწიფომ 53 მლნ ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი დაურიგა მცირემიწიან ფერმერებს.

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშოების ხელშეწყობის პროექტი“ 1 თებერვალს დაიწყება და აგვისტოში დასრულდება.

კახეთის გუბერნატორის განმარტებით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქვეყანაში არცერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი არ რჩება. ეს განცხადება ირაკლი შიოლაშვილმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების კახეთში ვიზიტის დროს გააკეთა.

„წინა წლებისგან განსხვავებით, ყველა სახნავ-სათესი ნაკვეთი ათვისებულია. წინა წლებში რიგდებოდა უმნიშვნელო დახმარება, რაც გლეხისთვის პრაქტიკულად არაფრის მომცემი იყო. თქვენ ნახეთ რამხელა ეფექტი გამოიღო 2013 წლის დახმარებამ, პრაქტიკულად არცერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი არ დარჩა.

წელს მთავრობა გეგმავს უფრო მასებში შესვლას. სტატისტიკურად, არ მუშავდებოდა ის პატარა ნაკვეთები, რასაც გლეხობა ფლობდა, განსაკუთრებით 1 ჰექტრის ფარგლებში, ეს ნიუანსი გამოსწორებული იქნება“, — განაცხადა შიოლაშვილმა.

რატომ ითიშება ხშირად ელექტროენერგია?!

გვ. 4

აფთიაქებში რამდენიმე მედიკამენტის ურეცეპტოდ გაყიდვა აიკრძალა



გვ. 2

დედოფლისწყაროში 800 ოჯახი შეშის შესაძენად 100 ლარს მიიღებს

გვ. 2

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2014 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს დიდიე ბურკჰალტერს შეხვდა. შეხვედრას საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და საქართველოს ელჩი შვეიცარიაში ირაკლი ყურაშვილი დაესწრნენ.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური იტყობინება, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები განიხილეს. საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს. ორივე ქვეყნის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ.

ირაკლი ღარიბაშვილმა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური მხარდაჭერისა და ამ საკითხებზე ურყევი პოზიციისათვის, ასევე შვეიცარიის შუამდგომლობისათვის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, საქართველოსათვის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ განეული ტექნიკური თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ჰყავს

საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ჰყავს - გიორგი ბადაშვილი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გიორგი ბადაშვილი მესამე ახალი პროკურორია. ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ 2014 წლის 21 იანვრით დათარიღებულ ბრძანებას ხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოაწერა. მთავრობისათვის იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი გიორგი ბადაშვილის კანდიდატურა მთავრობის ოფიციალურ გვერდზე დახასიათებულია როგორც კვალიფიკაციისა და კარგი რეპუტაციის მქონე, პროფესიონალი კადრი. ოპოზიცია ახალი პროკურორისგან ე.წ. პოლიტიკური საქმეების გამოძიებას მოელის.

საქართველოს ხელისუფლებას ახალი მთავარი პროკურორის, გიორგი ბადაშვილის კარიერული ზრდის იმედი აქვს და მიიჩნევს, რომ ის მთავარი პროკურორის პოსტზე ყველა გამოწვევას გაუმკლავდება. „ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკვე „ბევრი აქვს ნანახი“, „კარგი რეპუტაციის მქონე ახალგაზრდაა“ - მაგალითად, ასე ახასიათებენ ბადაშვილს საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ირაკლი სესიაშვილი და გია ცაგარეიშვილი. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია კი ფიქრობს, რომ ახალი პროკურორი თავს გაართმევს ურთულეს საქმეს, რომელიც მას ელოდება, და პროკურატურაში დაგროვილ საქმეებსაც გამოიძიებს:

„კარგად გვესმის, რომ პროკურატურას ექნება ძალიან დიდი დატვირთვა, იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ ათასობით ადამიანი ელის დარღვეული უფლების აღდგენას. ეს რთული პროცესი იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ჩვენი გუნდის მხარდაჭერა მას ამაში დაეხმარება“.

ბადაშვილის დანიშვნას 22 იანვარს გამოეხმაურა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიაც, რომლის თქმით, მთავარი პროკურორის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილებოდა, საბოლოოდ კი, პრემიერმა, იუსტიციის მინისტრთან ერთად, გიორგი ბადაშვილი აარჩია. ახლა მას, ალასანიას თქმით, მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება, რადგან პროკურატურას არაერთი გამოსაძიებელი საქმე რჩება გამოწვევად.

1981 წელს დაბადებულმა გიორგი ბადაშვილმა 2003 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2013 წლის 22 ნოემბრიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად, 2013 წლის მაისიდან კი გიორგი ბადაშვილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის მოადგილის პოსტი ეკავა. ბადაშვილის კარიერის დასაწყისად მთავრობის ოფიციალურ გვერდზე მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, სადაც ბადაშვილი 2006 წლის ივლისიდან 2013 წლის მაისამდე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. ახალი პროკურორის შესახებ ცნობილია, რომ ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

აფთიაქებში რამდენიმე მედიკამენტის რეცეპტის გარეშე გაყიდვა უკვე აიკრძალა

ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი ზოგიერთი მედიკამენტის რეცეპტის გარეშე გაყიდვა აფთიაქებში დღეიდან აიკრძალა. ასეთი მედიკამენტების ნუსხა გაფართოვდა და დაემატა ბაკლოფენი, გაბაპენტინი, დექსტრომეტორფანის შემცველი კომბინირებული პრეპარატები (გარდა სიროფებისა), ზოპიკლონი, ზალეპლონი და ტროპიკამიდი.

აღნიშნული მედიკამენტები ფარმაცევტული პროდუქტების II ჯგუფს მიეკუთვნებოდა, თუმცა ფარმაცევტული პროდუქტის რეკლასიფიკაციის შედეგად, ისინი I ჯგუფში გადაიტანეს და უფრო მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, ცვლილების მიზეზს წარმოადგენდა ბოლო პერიოდში ჩამოთვლილი ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული პროდუქტის არამიზნობრივი გამოყენება არათერაპიული დოზებით, ნარკოტიკული თრობის მისაღწევად. მათი უკანონო ბრუნვა და ბოროტად მოხმარება კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

17-დან 22 წლამდე მოქალაქეებს პირადობის მოწმობის მიღება უფასოდ შეუძლიათ

24 იანვრიდან 24 თებერვლის ჩათვლით, პირობით მსჯავრდებულებზე და 17-დან 22 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებზე პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცემა. დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახლებს ან სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ყველა მათგანი გათავისუფლდება როგორც დოკუმენტის, ისე ფოტოსურათის გადაღების ღირებულებისგან.

ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში 17-დან 22 -წლამდე 59 089 მოქალაქეა რეგისტრირებული, ხოლო პირობითი მსჯავრდებულების რაოდენობა კი 12 000 შეადგენს.

პირადობის ახალი მოწმობისათვის განაცხადის გასაკეთებლად, თბილისში განაცხადების მიღება წარმოებს დროებით სერვის-ცენტრებში, მისამართებზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კილომეტრი, (აღსრულების ეროვნული ბიურო); ვაჟა-ფშველას N1, (ეროვნული არქივი);

გასული წლიდან დღემდე, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, პირადობის ახალი მოწმობების უფასოდ გაცემის აქცია უკვე სამჯერ განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც უფასო პირადობის მოწმობები უკვე გადაეცათ სრულწლოვან დევნილებს, რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებს და პედაგოგებს.

იუსტიციის მინისტრი კახეთის პრობლემებს გაეცნო

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი იუსტიციის სამინისტროში შემავალი სსიპ-ების რაიონულ ოფისებს სტუმრობს. გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონების შემდეგ, თეა წულუკიანი, ამჯერად, კახეთში იმყოფებოდა და თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ახმეტის, ლაგოდეხის, სიღნაღის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რეგიონების სერვისების განვითარების, საჯარო რეესტრის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, იუსტიციის სახლისა და ნოტარიუსთა პალატის მუშაობას ადგილზე გაეცნო.

“იუსტიციის მინისტრმა იმ პრობლემების შესახებ მოისმინა, რომლებიც რეგიონული ოფისების თანამშრომლებს აწუხებთ და მათ მოგვარებას დაჰპირდა. თეა წულუკიანის თქმით, იუსტიციის სამინისტროს მენეჯმენტი ყველაფერს გააკეთებს, რათა სამსახურების მუშაობა კიდევ უფრო გამართული იყოს და მოქალაქეებისათვის გაწეული მომსახურების ეფექტიანობა გაიზარდოს. რიგ შემთხვევებში, ეს არის ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემა, რის გადასაჭრელადაც მინისტრმა ზრუნვა უკვე დაიწყო”, - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა.

ბიძინა ივანიშვილის ახალი ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია “მოქალაქე” დააფუძნა.

ბიძინა ივანიშვილი ორგანიზაციას თავად უხელმძღვანელებს. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, არასამთავრობო ორგანიზაციის მიზანი ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებაა.

ორგანიზაციის ხედვისა და მიზნების შესახებ ბიძინა ივანიშვილი დაწვრილებით 28 იანვარს ქართული და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისაუბრებს.

“მოქალაქე “ საჯარო რეესტრში 23 იანვარს დარეგისტრირდა. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი 39.ა. ორგანიზაციის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილია, აღმასრულებელი დირექტორი კი გიორგი საბანაძე.

ორგანიზაციის წესდების მიხედვით „მოქალაქის” მიზნები და ამოცანებია:

ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და კულტურულ განვითარებას.

იზრუნოს საქართველოში დამოუკიდებელი და პასუხისმგებლიანი მედიის განვითარებისათვის

ხელი შეუწყოს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა-განმტკიცებას

შეიმუშაოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენის კონცეფცია, რისთვისაც გამოიყენებს ხალხთა და კულტურათა დაახლოების ტრადიციულ და კანონიერ მეთოდებს.

გამოკვეთოს საქართველოს როლი და შესაძლებლობები მიმდინარე გლობალურ და რეგიონალურ პროცესებში და განსაზღვროს მათი გავლენა საქართველოსა და რეგიონზე და აშ.

ორგანიზაცია უფლებამოსილია, ეწეოდეს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებულ მოგებას ორგანიზაციის მიზნების რეალიზაციას მოახმარებს..

არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილია.

დედოფლისწყაროში 800 ოჯახი შეშის შესაძენად 100 ლარს მიიღებს

სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებისთვის შეშით უზრუნველყოფის საკითხს დედოფლისწყაროს საკრებულომ 22 იანვრის სხდომაზე მხარი დაუჭირა.

როგორც დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილმა ქიზიყი.გე-ს განუცხადა, ამისათვის 80 ათასი ლარია გამოყოფილი და დახმარებით 800 ოჯახი ისარგებლებს.

„გასულ წელს ამგვარი დახმარებით 730 ოჯახმა ისარგებლა, ახლა მათი რიცხვი 800-მდე გაიზარდა. ამ სიკეთით მარჩენალდაკარგულები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა პენსიონერები ისარგებლებენ. ამას გარდა, დამატებით კიდევ 25 ოჯახი შეშას მიიღებს... პროცესი საკრებულომ რატომ დააგვიანა ვერ გეტყვით, არ ვიცი, თანხა ხომ უნდა მოსულიყო,“ — აღნიშნავს ნატროშვილი.

დედოფლისწყაროში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ საკითხის დამტკიცება საკრებულოს მიზეზით გაჭიანურდა. კულუარებში საუბრობენ იმაზეც, რომ გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილმა საკრებულოს დეპუტატების მიმართ უკმაყოფილებაც გამოხატა.

„შირაქი“-ს საარქივო მასალების მიხედვით, 2011 წელს ამგვარი დახმარება დედოფლისწყაროში 400 ოჯახმა მიიღო, წელს კი ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია.

დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოში და სოფლების ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებთან განცხადებების მიღება უკვე მიმდინარეობს, ცალკეული კატეგორიების ოჯახები 100 ლარს 1 მარტამდე მიიღებენ.

დავით ნარმანია კახეთის გუბერნატორსა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს შეხვდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ, თელავში კახეთის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილთან და რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებთან შეხვედრა გამართა. მინისტრის თქმით, კახეთში სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ცალკეული მუნიციპალიტეტები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით 17, 5 მილიონ ლარს მიიღებენ.

შეხვედრას დედოფლისწყაროს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გივი გიგაური და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი ესწრებოდნენ.

როგორც ნარმანიამ შეხვედრაზე აღნიშნა, 2014 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა წყალმომარაგების საკითხების მოგვარებასაც, რომლისთვისაც ბიუჯეტიდან უკვე 19 მილიონი ლარია გამოყოფილი.

„განვიხილეთ, როდის დაიწყება ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სამუშაოები. რა ტემპები და რა მოცულობის სამუშაოსთან გვექნება საქმე და რა დაევალება მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს. ერთობლივად ადრე გაზაფხულიდან უნდა დავიწყოთ სამუშაოები, რადგან არჩევნების მოახლოვებისთანავე შეიზღუდება ახალი პროექტების ინიცირება და ბიუჯეტში ცვლილებები. ამიტომ გვინდა, რომ სამუშაოები დროულად დაიწყოს. ამასთან, ჩვენი სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად გაზების რეაბილიტაციისთვის 26 მილიონ ლარზე მეტის დახარჯვას აპირებს“ — განაცხადა ნარმანიამ.

„პრემიერის განკარგულება უკვე არსებობს, იმ რაიონებს, სადაც უკვე არის მზა პროექტები, დაუყოვნებლივ დავიწყებთ სატენდერო დოკუმენტაციაზე მუშაობას, რათა მათი განხორციელება დროულად დაიწყოს,“ — აღნიშნა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ კახეთში განსახორციელებელი 85 პროექტი უკვე დაამტკიცა, რომლისთვისაც ჯამში 95 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

კახეთის გამგეობებში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა დაინერგება

კახეთში, ყველა მუნიციპალიტეტის გამგეობა დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაერთვება. ელექტრონული პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ყველა სახის კორესპონდენცია, მათ შორის, მოქალაქეთა განცხადებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების სისტემაში ელექტრონული ფორმით იმოძრავებს.

კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, ახალი პროგრამა დოკუმენტების ადრესატამდე ოპერატიულად მიღწევას გაამარტივებს. მისივე თქმით, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის საშუალებით გუბერნატორის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაც გამარტივდება.

„ახალი დოკუმენტბრუნვის პროგრამა პირველ ეტაპზე მხოლოდ კახეთის რეგიონში დაინერგება. წერილი, რომელიც მუნიციპალიტეტში შემოვა, ავტომატურად ელექტრონულად დაეწერება ნებისმიერი რანგის თანამდებობის პირს. ყველაზე ეფექტური კი იქნება იმ კუთხით, რომ სოფლების მიხედვით, გამგებელს შეეძლება რამდენიმე წუთში დააწეროს წერილი სოფლის რწმუნებულს. ასევე, სოფლის რწმუნებულთან შევიდეს დოკუმენტი ჩვეულებრივი მოქალაქისგან. შესაბამისად მოხდება განხილვა და შემდეგ ეცნობება პასუხი, რომელიც ადგილზევე ამოიბეჭდება. სოფლის მაცხოვრებლებს, რომლებსაც უჭირთ მუნიციპალიტეტამდე მოსვლა, საშუალება ექნებათ, ოფიციალური დოკუმენტაციის მიწოდება მოახდინონ ადგილზე, თავიანთი სოფლიდან. ეს იქნება საკმაოდ ეფექტური, რადგან დღეს ყველა წარმატებული სამინისტრო ამ პრინციპით მუშაობს. გვინდა, რომ გუბერნიაც და ადგილობრივი თვითმმართველობებიც, რომლებიც შედიან კახეთის რეგიონში იყოს ასეთივე ეფექტური, სწრაფი და ოპერატიული. დაახლოებით ერთ კვირაში დარწმუნდება ყველა, რამდენად ეფექტური გახდება კახეთის რეგიონში ყველა მუნიციპალიტეტი მოსახლეობასთან ურთიერთობის მხრივ“, — განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის პროგრამას მუნიციპალიტეტების გამგეობების ადმინისტრაციებს ფინანსთა სამინისტრო უსასყიდლოდ გადასცემს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №2

21იანვარი 2014 წელი

ქ. დედოფლისწყარო

ქ. დედოფლისწყარო,
კოსტავას ქ.№44
ტელ. 0356 22 55 34
www.dedoplistskaro.ge

2014 წლის ზამთრის სეზონზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე - 16 მუხლის მე - 3 პუნქტის შესდაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს 2014 წლის ზამთრის სეზონზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესი (დანართი თან ერთვის).

2. 2014 წლის ზამთრის სეზონზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა მოხდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში.

3. განკარგულება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის
21 იანვრის №2 განკარგულების
დანართი

2014 წლის ზამთრის სეზონზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესი

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს 2014 წლის ზამთრის სეზონზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესს.

2. 2014 წლის ზამთრის სეზონზე გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის მიზნით შეირჩეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახები და სოციალურად დაუცველი ოჯახების (150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით) შემდეგი კატეგორიები:

2.1 მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი;

2.2 მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახი;

2.3 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვიანი ოჯახი;

2.4 მარტოხელა პენსიონერის (პენსიონერთა) ოჯახი, რომელსაც არ ჰყავს კანონით გათვალისწინებული შრომისუნარიანი მარჩენალი მისი საცხოვებელი ადგილის მიუხედავად;

2.5 ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვიანი ოჯახი;

2.6 მარტოხელა დედა;

2.7 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა ოჯახი;

2.8 სოციალურად დაუცველი ოჯახი (150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით), რომელიც არ მიეკუთვნება მე - 2 პუნქტით და მე - 2 პუნქტის 2.1; 2.2; 2.3; 2.4; 2.5; 2.6; 2.7;

ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას, მაგრამ რეკომენდაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.

3. 2014 წლის ზამთრის სეზონზე თითოეული კატეგორიის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის ნორმად დადგინდეს 100 ლარი.

4. 2014 წლის ზამთრის სეზონზე გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა მოხდეს მოქალაქეთა მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის (განცხადება, პირადობის მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს განყოფილებიდან, სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, საბანკო ანგარიშის ნომერი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის რეკომენდაცია განკარგულების 2.4 და 2.8 ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიისათვის) წარმოდგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების დაკავების გარეშე.

5. ბრძანების გამოცემის პერიოდულობა განისაზღვროს ერთი კვირით 2014 წლის პირველ მარტამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი

რატომ ითიშება ხშირად ელექტროენერგია?!

ბოლო დროს ჩვენი რაიონის მაცხოვრებლებისთვის უცხო აღარაა ელექტროენერგიის ხშირი გათიშვა, ამ გარემოებას უკვე ისე მივეჩვიეთ, რომ ყოველი ოჯახისთვის სანთლების და ძველებური ლამპების მომარაგება უცხო აღარაა. ქარიანი ამინდი ისედაც არავის უყვარს, მაგრამ, როცა გათავისებული გვაქვს, რომ ამ ამინდს თან ელექტროენერგიის გათიშვა მოუაღრესად ცუდ განწყობას გვიქმნის. პატარა ნიავი და „რომანტიკული სანთლების საღამო“ გარდაუვალია, თუ შეიძლება, ამას რომანტიკა დავარქვათ. ეს ყველაფერი ისე აქვს მოსახლეობას გათავისებული, რომ არც ის გაჰკვირვებია ვინმეს, რომ 13 იანვარს, ძველით ახალ წელს სოფლების- გამარჯვების, არბოშიკის,ზემო მაჩხაანის, მირზაანის და ოზაანის მოსახლეობა უშუქოდ შეხვდა, ხოლო 14 იანვარს იგივე გამეორდა ქალაქ დედოფლისწყაროში. ქარის გამო მთელი დღე ელექტროენერგია იყო გათიშული 16 იანვარსაც, თუმცა არც უქარო 17 იანვრის დღეს ჩაუვლია ელექტროენერგიის გათიშვის გარეშე.

ცხადია, აღნიშნულის გამო მოსახლეობაში უკმაყოფილებაა, ამ ყველაფერს გულის გასაკეთებლად ხან იუმორის სახე აქვს, ხანაც გაბრაზებული, მაგრამ ფაქტია, ელექტროენერგიის მოწოდებამ ბოლო დროს ძალიან არასტაბილური ხასიათი მიიღო, რაც ყველა ჩვენგანის გულისწყრომას და უკმაყოფილებას იწვევს. გასაგებია და ვიცით, რომ სისტემა მოძველებულია, ვიცით, რომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ბოძები ამორტიზირებულია, ვიცით, რომ ელექტრომეურნეობა ძალ- ღონეს არ იშურებს საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ მაინც, მოსახლეობა, რომელიც რედაქციაში გვაკითხავს და გვაწუხებს, თუ რატომ ქრება ხშირად ელექტროენერგია, კიდევ ერთხელ აინტერესებს ახსნა და საქმის არსში გარკვევა, რა ხდება სინამდვილეში და რატომ ხდება ისე, რომ ელექტროენერგიის გათიშვა ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად იქცა?! ამ კითხვებით დედოფლისწყაროს ელექტროდისტრიბუციის უფროსს ივანე გიგოლაშვილს მივაკითხეთ.

- ბატონო ვანო, როდესაც დედოფლისწყაროს მოსახლეობას ელექტროენერგია ეთიშება, მათ იციან და ხედავენ, თუ როგორაა გაჩახჩახებული იმ დროს სიღნაღი, წნორი, ყვარელი და ლაგოდეხი, მოდით დავიწყოთ 13-14 იანვრის გათიშვით, რა ხდებოდა ამ დღეებში დედოფლისწყაროში და რა გიშლით ხელს, რომ მოსახლეობის უკმაყოფილება თქვენი სამსახურის მისამართით აღარ ცხრება?

- ეს ყველაფერი, რაც ხდება, არც ჩვენი ბრალია და არც იმ მოსახლეობის, რომლებიც უკმაყოფილოდ იშვერენ ჩვენსკენ თითს. ეს ამბავი არც ახლა დაწყებულა და არც რამდენიმე დღის წინ, ეს 20 წლის წინანდელი ამბავია და 20 წელია ხდება. 13 იანვარს გამარჯვების სოფლების ზონა რომ გაითიშა, გეტყვით, რაშიც მდგომარეობდა საქმე, იმისთვის, რომ ერთ დროს იქით ზონას დენი სწრაფად და შეუფერხებლად მისცემოდა, ხელმძღვანელობამ, მავანთა და მავანთა დავალებით, დაუშვებელი დაუშვა, არასწორი და არარეკომენდირებული მეთოდი გამოიყენეს, რის გამოც ისევ თავიანთი თავი და მოსახლეობა გაწირეს სწორედ არასწორი გაყვანილობით. მაგ სოფლების ზონაზე ერთმანეთზეა მიერთებული სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ძაბვის და სხვადასხვა გადაცემის სადენები, ერთ ხაზზე ერთდროულად ერთმანეთზეა გადაბმული ალუმინის, სპილენძის და ჩვეულებრივი „კაბელის“ სადენები, რაც სავსებით დაუშვებელი და გაუმართლებელია, სპილენძით გატარებულ დენს ალუმინის სადენი ვერ უძლებს, დნება და ცხადია, მაშინვე ითიშება უბანი, ფაქტიურად იმისთვის, რომ მაგ ზონამ უწყვეტი ელექტროენერგია მიიღოს, ჩვენი მონტიორების 24 საათიანი უწყვეტი რეჟიმით შრომის ფასად გვიჯდება. კანონით ჩვენ ღამე მუშაობა გვეკრძალება, გვავალებენ, რომ ღამე სამუშაო არ შევასრულოთ და გასაკეთებელი საქმე დღის საათებში განვახორციელოთ, მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანები ვართ ?!- რომ მირეკავს შეწუხებული მოქალაქე, ისე ვწუხდები, რომ მონტიორის გარეშე მივდივარ და მე ვითხოვ გააღონ ესა თუ ის კარადა. ვაცხადებ, რომ გამიღონ კარადა, მე თვითონ უნდა ვნახო, მე თვითონ უნდა გავაკეთო! - ამაზე მეტი გულისხმიერება როგორ გამოვიჩინო?! მე მაპატიოს მოსახლეობამ და ბოდიშის მოხდით მინდა ყველას გავაგებინო, რომ ჩვენი კოლექტივის ბრალი არაა ნამდვილად, რომ დენი ითიშება, ეს წლების უყურადღებობის და უმოქმედობის შედეგად დაგროვილი საქმეა, ეს იმის ბრალია, რომ ჩემს წინამორბედ ხელმძღვანელებს წლები თითი თითზე არ დაუდვიათ წარმოდგენა არ ჰქონდათ საქმეზე და მხოლოდ უფროსობდნენ, რასაც დღედე ვიმკით კიდეც და რაზეც ისევ და ისევ მოსახლეობას მე ვუხდი ბოდიშს. ამიტომ, მესმის, რომ სხვა რაიონებში ამ დროს დენია, მაგრამ ნაციონალურმა მთავრობამ თავისი მმართველობის ცხრა წლიან პერიოდში კახეთის ყველა რაიონი უზრუნველყო ახალი ელექტროსადენების გარდა დედოფლისწყაროსი და ახმეტისა. შესაძლოა, ვერც კი წარმოიდგინოთ, მაგრამ ამით ფაქტიურად ამორტიზირებული სისტემის ანაბარა გაგვწირეს. რომ მოვედი, ისეთი სისტემა დამხვდა, რომ ხშირად ვფიქრობ, ან რა ელექტროენერგიასაც ვაძლევთ მოსახლეობას და ვუშვებთ სისტემაში, როგორ მუშაობს- მეთქი. ფაქტიურად, დღესდღეობით ჩვენ თვეში 30 000 კილოვატ ელექტროენერგიას ვკარგავთ არასტანდარტული და არასათანადო გაყვანილობის გამო. ყოველი მიწოდებული ელექტროენერგია ჩვენთვის რისკის ფასია, მაგრამ, რა ვქნათ, მოსახლეობას ისე ხომ ვერ დავტოვებთ, რაც არის და როგორც არის , იმაზეც პრეტენზიებს გამოთქვამენ, ისიც რომ არ მივაწოდოთ, რაღა იქნებოდა?! მაშინ, ალბათ, კარს შემოგვიმტვრევდა ხალხი!

- ბატონო ვანო, ამბობთ რომ 30 000 კილოვატს კარგავთ, საინტერესოა, რა ოდენობის ელექტროენერგიას მოვიხმართ დედოფლისწყარო და რა ოდენობის თანხის ბრუნვაზეა საუბარი, თუ 30 000 კილოვატ დენს ვკარგავთ, შესაძლოა, ამან გვაფიქრებინოს, რომ თქვენი ზემდგომი კომპანია ზარალზე მუშაობს დედოფლისწყაროში?

- არა, არც ასეა საქმე, თანხის ამოღებით, ნაკლები დანაკარგით და ელექტროენერგიის ნაკლები გათიშვებით დედოფლისწყარო პირველ- მეორე ადგილს არ თმობს. მაგალითად, გასულ წელს, 107% შევასრულეთ მოხმარებული ელექტროენერგიის მაჩვენებელი და მხოლოდ დეკემბრის თვეში 1 850 000 კილოვატი ელექტროენერგია გავხარჯეთ, რაც, არცთუ ისე ცუდი მაჩვენებელია. ზემოთ აღვნიშნე უკვე, რა მდგომარეობაა რაიონში არსებულ ამორტიზირებულ სადენებში და ამ ფონზე, მოვიტყუებოდით და წარმოუდგენელიცაა, რომ დანაკარგი ნულოვან მაჩვენებელთან იყოს გატოლებული...

- სად არის ყველაზე ცუდი მდგომარეობა ამ ეტაპისთვის, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება მიხედვა და გაკეთება სადენებს?

- ვერ გამოვყოფ ვერცერთ უბანს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ დედოფლისწყაროს ელექტროგაყვანილობის 99% მთლიანად შესაცვლელია, თითქმის ყველა უბანი მოითხოვს რესტავრაციას, თუმცა იმის გამო, რომ ცენტრში ბანკებს არ უნდა შევუქმნათ ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა, იმის გამო, რომ ასფალტის ქარხანა აუცილებლად საჭიროებდა უწყვეტ ელექტრომიწოდებას, თავის მხრივ, ხარისხიანად მიწოდებულ ელექტროენერგიაზე მაღალი მოთხოვნები აქვთ ბენზინგასამართ სადგურებს და მცირე საწარმოებს, ხშირად ხდება ხოლმე ისე, რომ სარემონტო სამუშაოებს ვერ ვახორციელებთ სწორედ იმისთვის, რომ მათ მუშაობას ხელი არ შეეშალოს. ჯერ მხოლოდ რაიონის გასასვლელ ტერიტორიტორიაზე ხუთი ექვსი კერძო საწარმო პუნქტია, რომლებსაც საკუთარი ჩამრთველები კერძო ტერიტორიაზე დაკეტილ მდგომარეობაში აქვთ. როგორც კი ელექტროენერგია ქრება და გავდივართ დაზიანების კერის აღმოსაჩენად, ხშირად თითოეული მეწარმის ობიექტზე შესვლაა საჭირო, რათა დაზიანების კერა მოიძებნოს, სანამ მათ სათითაოდ დავუძახებთ და თითოეული დაკეტილი ობიექტის ჩამრთველ კაბინას მეპატრონეს გავაღებინებთ, რათა დაზიანება აღმოვაჩინოთ, დროც გადის და მოსახლეობის უკმაყოფილებაც იზრდება, ამიტომ, მიმაჩნია, რომ ყველა ობიექტს საკუთარი მონტიორი უნდა ჰყავდეს, რომელიც პასუხს აგებს ობიექტის შიდა გაყვანილობაზე. წინაღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ შექმნილ პრობლემებზე პასუხს აღარ ვაგებთ, რადგან კერძო საკუთრებებში სიარული ბევრ დროს გვართმევს. ენერგოდისტრიბუციას ისედაც უამრავი საქმე აქვს, მთელი კოლექტივი აცხადებს, რომ რაც გასულ ერთ წელიწადში ჩვენმა სამსახურმა სამუშაო გასწია, ალბათ, ცხრა წელი ერთიანად არ გაუკეთებია ამ სამსახურს. კერძოდ, უამრავი ახალი ელექტროგადამცემი ბოძის შეცვლის, სხვადასხვა ადგილებში დაზიანებების აღმოფხვრის, ახალი ხაზების გაყვანის გარდა, ახალი კარადების გაკეთების და ახალი ტრასის გაყვანის გარდა, გავაკეთეთ სოფელ სამრეკლოს ნაწილი, სადაც ახალი, თანამედროვე სტანდარტების ელექტროსადენები გავჭიმეთ და გავამრიცხველიანეთ, ფაქტიურად ეს უბანი მთლიანად ახალ სადენზე დავსვით, ეს გახლავთ ისეთი თანამედროვე სტანდარტების სადენი, რომ გრიგალის პირობებშიც კი ძვრას ვერ უზამს და სადენებში დენი ყოველგვარი შეფერხების გარეშე გაივლის.

- რაში ხედავთ ბატონო ვანო გამოსავალს, ალბათ წლევანდელ წელს გაჩნდება პერსპექტივა,არის თუ არა ჩადებული პროექტში დედოფლისწყაროს ელექტროსადენების რეაბილიტაციის საკითხი, რათა გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან, არსებობს თუ არა პერპექტივა, რომ მოიძებნოს კრიზისული ელექტროხაზები და სამრეკლოში გაჭიმული სადენის მსგავსი სადენებით გაკეთდეს მთელს რაიონში?!

- რა თქმა უნდა არის, გამოსავალი უკვე მონახულია, რამდენიმე დღის წინ ჩვენთან უკვე იყვნენ ჩამოსული ექსპლოატაციის წარმომადგენლები, სათითაოდ შემოვატარე უბნები და ვაჩვენე, თუ რა მდგომარეობაშია ხაზები, მათ გამოთქვეს წინადადება, რომ მაისის თვიდან დაიწყებოდა სოფლების- გამარჯვება, არბოშიკი, მაჩხაანი, ოზაანის ზონის გაკეთება, მე, რა თქმა უნდა ,შევეწინააღმდეგე, ავუხსენი და მოვითხოვე, რომ მოსახლეობა ამდენ ხანს ვერ მოიცდიდა და დაჩქარება იყო საჭირო. ორშაბათს თელავში თათბირზე რომ წავალ, ამის შემდეგ ტენდერი აიტვირთება სოციალური ქსელის საშუალებით, ვინც გაიმარჯვებს ტენდერში, ამ სოფლების ელექტროგაყვანილობასაც ის უზრუნველყოფს, რაც შეეხება რაიონს, რაიონის გაკეთებისთვის ჩვენს სამსახურს შეგვწევს უნარი, თავად გავუძღვეთ საქმეს. ჩვენი გეგმა ასეთია, რომ მთელი მუნიციპალიტეტის ელექტროგაყვანილობა სწორედ სოფელ სამრეკლოში გაჭიმული ხაზის მსგავსად გავაკეთოთ, გვინდა, რომ ისეთი სახის მაღალხარისხიანი და მაღალი სტანდარტის სადენები გავჭიმოთ დედოფლისწყაროშიც რისთვისაც მასალები უკვე გვაქვს. მჯერა, რომ ხელშეწყობა და მხარდაჭერაც გვექნება. ველოდებით მხოლოდ მორალურ მხარდაჭერას, როგორც მოსახლეობის მხრიდან, ისინი გაგებით უნდა მოეკიდნენ ამ საკითხს, რომ ორი კვირის მანძილზე ელექტროენერგიის გათიშვები იქნება მოსალოდნელი და მხარდაჭერა გვინდა ასევე ხელმძღვანელობიდან, რათა შეავდგინოთ ერთობლივი გრაფიკი უბნებზე დენის ჯაჭვურად მიწოდებასთან დაკავშირებით. გვინდა, რომ სანამ ასფალტის ქარხანა გაჩერებულია, მხოლოდ ორი კვირა გვჭირდება, ამ ორ კვირაში მოვახერხებთ , სარეაბილიტაციო სამუშაო მოვასწროთ. აქვე, ყურადღება მინდა გავამახვილო იმ მაცხოვრებლების მიმართ, რომლებიც ხშირად წინააღმდეგობას გვიწევენ, რომ თუ ხელს გვიშლის მათი რომელიმე ხის ტოტი, მოვჭრათ, ამ შემთხვევაში მოსახლეობამაც უნდა დათმოს. რაც შეეხება გამარჯვების, მაჩხაანის, ოზაანის, არბოშიკის სოფლებს უკვე მოგახსენეთ, რომ გამარჯვებული კომპანია მაისზე ბევრად უფრო ადრე გააკეთებს ამას.

-რაც შეეხება გამრიცხველიანებას,თუ მოხდება დარჩენილ სოფლებში გამრიცხველიანება?

- კი, წელს მოხდება ორი სოფლის, ზემო მაჩხაანსა და სამრეკლოში გამრიცხველიანება.

- ერთიც უნდა გკითხოთ, ვხედავთ რამდენ ქუჩაზე გაკეთდა ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის ბოძები და ძველი ხის ბოძების მაგიერ, ახალი ცემენტის ბოძები დამონტაჟდა, მაინც არსებობს კვლავ უამრავი ქუჩა, სადაც ძველისძველი,დაზიანებული ხის ელექტროგადამცემი ბოძები ქარის დროს წაქცევის ალბათობის ქვეშ იმყოფება, რაც მოსახლეობის უსაფრთხოებას აყენებს ეჭვქვეშ. გაგრძელდება ელექტრობოძების გამოცვლა?!

- ამ საკითხზე ვიტყვი იმას, რომ ყოველი ქუჩა, ყოველი მეტრი გვაქვს შესწავლილი და ზუსტად ვიცით, სად რა მდგომარეობაა, ჩვენ გვსურს, რომ წლევანდელ წელს ენერგოგადაცემის ხაზების და ბოძების საკითხი ბოლომდე მოგვარდეს, იმედი მაქვს, საქმეს მოვერევით და მაქსიმალურად დავაკმაყოფილებთ აბონენტებს.

ლალი მეხრიშვილი

როცა მშობლიური მიწის სურნელი არ გასვენებს

17 წელი დედოფლისწყაროელი მიხეილ სეხნიაშვილი საბერძნეთში ცხოვრობდა. არა, მთლად ასეც ვერ ვიტყვით, ცხოვრობდაო, რადგან მშობლიურ ფესვებს არასოდეს მოსწყვეტია – პერიოდულად ჩამოდიოდა, ცდილობდა რაიმე სასარგებლო გაეკეთებინა თავისი რაიონისათვის, თავისი ხალხისათვის. მან 1984 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლა, შემდეგ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ჯერ ფიზიკა-მათემატიკის, შემდეგ კი ისტორიის ფაკულტეტები. ერთი პერიოდი სოფელ წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში შრომას და ისტორიას ასწავლიდა, რამდენიმე წელი ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ყველას გვახსოვს ის მძიმე და გაუსაძლისი ოთხმოცდაათიანი წლები და მიხეილმაც საბერძნეთში წასვლა გადაწყვიტა. 1996 წლიდან ის საბერძნეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მიუხედავად რამდენიმე სპეციალობისა, მისი ცხოვრება მაინც იმ სფეროს დაუკავშირდა, რომელიც მას ბავშობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული– მიხეილი სპორტსმენი გახლავთ. იგი საბრძოლო ხელოვნებათა სხვადასხვა მიმართულების ოსტატია, საერთაშორისო მწვრთნელის წოდება აქვს სავატში (ფრანგული ბოქსი) და ვუ-შუ-კუნგფუს შეფ-ინსტრუქტორია. ვარჯიში 7 წლის ასაკში დაიწყო და სპორტთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. მისი ძირითადი საქმიანობაც სწორედ ამ დარგს უკავშირდება. ჯერ კიდევ 1990-91 წლებში, სპორტის დამსახურებულ ოსტატთან თენგიზ გუმაშვილთან ერთად, დაიწყო სამწვრთნელო მოღვაწეობა. მათ ჯარისწყლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ დაუსრულებელი სპორტული კომპლექსის პირველ სართულზე, დიდი ძალისხმევის და შრომის ფასად, მოაწყეს საწვრთნელი ბაზა და ჩვენი მომავალი თაობის ჯანსაღი წესით ცხოვრების მნიშვნელოვან საქმეს მოჰკიდეს ხელი, რადგან აბსოლუტურად ეთანხმებოდნენ და დღესაც ეთანხმებიან აზრს, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას“. იგი ჯერ ვუ-შუ-კუნგფუს, შემდეგ კი სანდას ასწავლიდა ბავშვებს. მერე იყო საბერძნეთი, ემიგრანტი ადამიანის მძიმე ბრძოლა თავის დამკვიდრებისათვის, ტკივილი და სიხარული, წარუმატებლობა და წარმატება. მაგრამ მაინც ყველაზე ძლიერი მშობლიური მიწის ძახილი და ვალდებულების შეგრძნება იყო, რომ თავისი რაიონის მოზარდი თაობისთვისაც უნდა გაეკეთებინა რამე. ამიტომ, 2008 წლის სექტემბრში დააარსა საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია დედოფლისწყაროში, პრეზიდენტად უფროსი მეგობარი, სანდო პარტნიორი და გამოცდილი სპეციალისტი თენგიზ გუმაშვილი აირჩია, თავად ვიცე-პრეზიდენტის ტიტული იკმარა, საწვრთნელი დარბაზი აღჭურვა თანამედროვე ინვენტარით და ჩვენს ახალგაზრდობას მისცა საბრძოლო ხელოვნების რამდენიმე პროფილზე წვრთნის შესაძლებლობა. გამორჩეულად გაამართლა კიკ-ბოქსინგმა და სანდამ. სპორტის ამ სახეობაში ფედერაციამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა, როგორც რესპუბლიკის, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე. აქ აიდგეს ფეხი შემდეგში ჩვენი რაიონის ცნობილმა და ტიტულოვანმა სპორტსმენებმა: გიორგი ღულუნიშვილმა, ზაზა ბოსტოღანაშვილმა, შოთიკო რობიტაშვილმა, გიორგი ქართველიშვილმა, ნაჰიბ ალიევმა, ნიკა ჩიტიშვილმა, ილია დაიაურმა, რომელიც შემდეგ მწვრთნელადაც მუშაობდა, სანდრო სამხარაძემ, ლევან თეთრაულმა, გიორგი ხუციშვილმა, გიორგი ნატროშვილმა და სხვებმა, რომლებმაც საუკეთესო შედეგი აჩვენეს. ექვს წელიწადში ფედერაციამ 200-ზე მეტი ახალგაზრდა გამოზარდა, რომლებმაც აქ საწყისი წვრთნა გაიარეს და მიიღეს საბრძოლო განათლება, რომელიც შემდეგ ასპარეზობებში წარმატების მიღწევის საფუძველი გახდა. მათ აღზრდას სხვადასხვა დროს ემსახურებოდნენ:თენგიზ გუმაშვილი, მალხაზ ცისკარაული, ლადო ნადირაშვილი, გოგიტა გოგილაშვილი, გიორგი ღულუნიშვილი, ჯემალ გიგაური, გიორგი ცისკარაული და ამ ყველაფრის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მიხეილ სეხნიაშვილი.

ამ ექვსი წლის განმავლობაში ფედერაციის მუშაობას უძღვებოდა, ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებდა და წარმატების მისაღწევად ენერგიას არ ზოგავდა მიხეილის დედა ჟუჟუნა (ნუნუ) ღვედაშვილი.

იმ საქმიანობის შესახებ, რასაც მიხეილ სეხნიაშვილი საბერძნეთში ეწეოდა, მოგვითხრობს საბერძნეთში გამომავალი ქართული ჟურნალი „ელადა“. ჩვენ გთავაზობთ მასში გამოქვეყნებულ წერილს „ქართველს უცხოეთში მხოლოდ ქართული საქმე გადაარჩენს“ იმ კუთხის წარმოსაჩენად, თუ რამხელა ძალისხმევა სჭირდება ადამიანს უცხო ქვეყანაში, წარმატებას რომ მიაღწიოს.

„პირველ ჯერ გვითქვამს, მაგრამ ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ქართველს უცხოეთში მხოლოდ ქართული საქმე გადაარჩენს. ემიგრაციაში მოღვაწე მრავალი ქართველი მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედ ამის მაგალითია. მათ შორის არის ბატონი მიხეილ სეხნიაშვილი, – სპორტულ-კულტურული საზოგადოების „ლირა“ უფროსი მასწავლებელი (შეფ-ინსტრუქტორი), საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის (დედოფლისწყაროს) ვიცე-პრეზიდენტი და შეფ-ინსტრუქტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტის რამდენიმე სახეობაში, რომელიც თავის მთავარ საქმედ სწორედ სპორტულ-კულტურული საზოგადოების "ლირა"განვითარებაში შეტანილ წვლილს მიიჩნევს, კლუბის პრეზიდენტის ანდრეას მიხაილიდის გვერდით და მხარდამხარ. დღეს კი ბატონი მიხეილი მოგვიყვება, როგორ დაფუძნდა კლუბი, რა სირთულეები გაიარეს მისმა დამფუძნებლებმა და რით დაფასდა მათი თავდაუზოგავი შრომა.

- ჩვენი კლუბი 2003 წლის სექტემბერში დაფუძნდა, მას შემდეგ, რაც საბუთების პრობლემის მოგვარება შევძელი. მანამდე 1996-დან 1998 წლამდე, ყველანაირი მცდელობის მიუხედავად (მეუღლეც ბერძენი მყავს)ლეგალიზებას ვერ მივაღწიე.

2003 წელს, სათვისტომო „იბერიამ“, რომელსაც დიმიტრი კევლიშვილი ხელმძღვანელობდა, გამოგვიყო ერთი პატარა ოთახი, შეზღუდული პირობებით. არ ვიცი, სხვები როგორ ახერხებდნენ, მაგრამ ვერც მე და ვერც დიმიტრიმ მეტი ვერ შევძელით...

დავიწყეთ მძიმე შრომა სამშობლოსგან შორს მყოფი და თავგზააბნეული მოზარდების გამოსაწრთობად და ვაჟკაცებად, ჯანმრთელ ადამიანებად და ქართველებად აღზრდა - ჩამოყალიბებისათვის. ჩანაფიქრი დიდი იყო, მაგრამ პირობები და ვითარება არ იძლეოდა მეტი გაფართოების და გაქანების საშუალებას, ვგულისხმობ შეჯიბრებებს, გამოსვლებს, საბუთების მოგვარებას, დიპლომებს, წოდებებს... სხვათა შორის, მაშინ ელგუჯა მინაძესთანაც გვქონდა კონტაქტი, მაგრამ დახმარება ვერც ელგუჯამ შესძლო. ადგილობრივი ბიუროკრატიული აპარატი არჩევანს არ მიტოვებდა, მე კი არ მინდოდა, ქართველი ბავშვები ბერძნებად გამომეყვანა შეჯიბრებებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ საბერძნეთის და ევროპის არეალი გახსნოდათ. ამიტომ სხვა გამოსავალი გამოვნახე: მოვძებნე ადამიანი, რომელსაც უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული ბერძნული (პონტიური) საზოგადოება „ლირა“. ამ ადამიანმა სწორედ განჭვრიტა ჩვენი შესაძლებლობები. ეს იყო ანდრეას მიხაილიდი-პროფესიით ვეტექიმი, კაცური კაცი, დიდი გამოცდილებით და დამსახურებით, სპორტში ჩახედული, თბილისური წარსულით, შემართული და ხალისიანი. მან 65 წლის ასაკში დაიწყო ახალი შრომა და ბრძოლა. დავიქირავეთ დარბაზი, სათვისტომოს ოფიციალურად დაემატა სპორტული სექტორი, ანუ გახდა კულტურულ-სპორტული საზოგადოება"ლირა"2004-2005 წლიდან და საქართველოდან ჩამოსულ საზოგადოებას მიეცა საშუალება, თავისი ცოდნა-უნარები უფრო მეტად წარმოეჩინა. ასეც მოხდა. ჩვენი პატარა, ათკაციანი ჯგუფი გაიზარდა ოცამდე და გადავედით სხვა სამუშაო რეჟიმზე - 4 საათი ვარჯიში ყოველდღე. დავამატეთ რამდენიმე (თავიდან გვქონდა მხოლოდ კუნგფუ,) ჭიდაობის სხვადასხვა სახეები და სიმძიმეები ნაკლები დატვირთვით, რასაც დავამატეთ კიკ-ბოქსი, ჰათჰა-იოგა. შევიძინეთ სპორტული ინვენტარი ერთ-ერთი დამეგობრებული მაღაზიიდან. ამაში ძალიან დაგვეხმარა ერთი ნამდვილი პატრიოტი ადამიანი, რომელმაც არ გათვალა არც მოგება, არც წაგება. რაც გააკეთა, ალალი გულით გააკეთა. ეს გახლავთ ექიმი, ყოფილი სამბისტი, თბილისელი ბერძენი ალექსანდრე ავრადიმისი. ის იყო ჩვენი გულშემატკივარი იმ მცირე წრიდან, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ჩვენს წარმატებებს. წარმატება კი დაიწყო 2006 წლიდან, როცა შევძელით და გავერთიანდით ორ ბერძნულ ეროვნულ ფედერაციაში - ვუშუ-კუნგუფუსა და სავატიში.

ჩვენი მუშაობის თანმდევი იყო უამრავი პრობლემა, რაც არალეგალების ცხოვრებას ახლავს უცხო ქვეყანაში. ბიჭებს არ ჰქონდათ საბუთები და პოლიცია წამდაუწუმ აკავებდა, არ აინტერესებდათ, სპორტსმენი იყო თუ სხვა ვინმე. იგივე მიზეზით ვერ გავედით ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე-ერთი საბუთი 3,5 ათასი ევრო ჯდებოდა ოფიციალურად, ფედერაციის ადვოკატს რომ გაეკეთებინა, რის საშუალებაც ბიჭების უმეტესობას არ ჰქონდა. აღარ არის საუბარი მათ შეჯიბრზე წაყვანასა და დაფინანსებაზე, რასაც უმეტესწილად ჩვენი ხარჯებით ვაკეთებდით და ამან მძიმე ფინანსური პრობლემები შეგვიქმნა მეც და ანდრეასაც. ჯერ მარტო ერთი კაცის ციხიდან გამოყვანა 600 ევრო გვიჯდებოდა. უამრავი დრო წაიღო ამ უაზრობებმა და მე ვფიქრობ, რომ „უცხო ძალის“ გაძლიერებას ვერ ეგუებოდნენ ადგილობრივი სტრუქტურები. ყოველ ნაბიჯზე გვამოწმებდნენ, იყო სპორტსმენების გათვლილი თუ გაუთვლელი შეცდომებიც, უცხო ქვეყნის კანონებისა და წესების არცოდნა, ვერშეგუების თუ არშეგუების პრობლემა და ათასი მიზეზი, მაგრამ ვინც იყო კლუბში, გამუდმებით ვარჯიშობდნენ, მუშაობდნენ საკუთარ თავზე, რამაც სათანადო შედეგიც გამოიღო...

ჩვენი პირველი გამოსვლა გაიმართა 2006 წელს, ნოემბერში, სანდა-კუნგფუში 12-კაციანი შემადგენლობით, სადაც ავიღეთ 8 პირველი და 4 მეორე ადგილი. ეს იყო შოკი ბერძნული სათვისტომო კლუბისათვის! ამას არავინ ელოდა. როგორია:მოვიდნენ უცნობები არსაიდან, ყველაფერი წაიღეს და წავიდნენ. ატეხეს ერთი ამბავი, რომ ვიყავით უცხოები, არაკანონიერები და ამისთანები...“

მეორე შეჯიბრზე, 2007 წელს, სავატში ათკაციანი ჯგუფი გავიყვანეთ. ავიღეთ 6 პირველი, 4 მეორე ადგილი, მოვიპოვეთ გუნდური პირველობა და საბერძნეთის თასი. აქ კი „გააფრინეს“ ბერძნებმა და სხვა რომ ვეღარაფერი მოგვიხერხეს, თასი მოგვპარეს თვალსა და ხელს შუა...

ამას არ ველოდით, მაგრამ ფაქტია, არაფერს ვამბობ გადამეტებულს... ამით გაბრაზებულებმა მაკედონიის პირველობა მოვაწყეთ. 11 სათვისტომოა და მათ შორის ყველაზე ძლიერი-მარია პანტელიდუს და კოსტას ხაპკიდის „პამაკედონიკოს სილოცო“გავანადგურეთ 14:0, ანუ 14 წყვილიდან ყველა მოვიგეთ. ამის მერე აღარც გავჩერებულვართ-ვეღარ ვითვლიდით საბერძნეთის ჩემპიონებს და თასის მფლობელებს რანდაში, სავატში, სიმძიმეებში, კიკ-ბოქსში...

ორ წელიწადში გავაღწიეთ ევროპის ჩემპიონატზე და მეორე ადგილით დაგვიბრუნდა პოლონეთიდან გიორგი გაბიტაშვილი... რიგში იდგნენ ლადო ნადირაშვილი და თენგო სტამოსი, რა თქმა უნდა, სპარტაკ დელიანიდისი, რომელმაც, გოჩა ჯანელიძესთან ერთად, 2008 წლის 15 მარტს საერთაშორისო ტურნირი მოიგო მძიმე წონაში კიკ-ბოქსში. ორი სპორტსმენი და ორივე პირველ ადგილზე!გოჩამ საბერძნეთის პირველი ნომერი დაამარცხა კიკ-ბოქსში მძიმე ნოგდაუნდით.

(გაგრძელება გვ. 6)



რადიო „ჯაკო“-მ ხვიჩა ქოქუაშვილი საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა



სპორტული რადიო „ჯაკო“-ს ორგანიზებით საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა თბილისში. საქართველოს საუკეთესო კიკბოქსინგელად დასახელდა დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონის“ სპორტსმენი ხვიჩა ქოქუაშვილი, რომელმაც 2013 წელს კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიას ამავე რადიოს წამყვანი და კომენტატორი ჯამლეტ ხუხაშვილი უძღვებოდა.

ხვიჩა ქოქუაშვილს საუკეთესო სპორტსმენის დიპლომი და მედალი გადასცა გარდაცვლილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ბადრი პატარკაციშვილის დედამ ნათელა პატარკაციშვილმა.

ცერემონიალს ესწრებოდნენ სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი და განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე. ასევე, საქართველოს ყველა გამოჩენილი ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენი, მწვრთნელი და ოლიმპიური ჩემპიონი.

ხვიჩა ქოქუაშვილი დაჯილდოვებაზე მწვრთნელთან თამაზ ყარაგვეზაშვილთან ერთად იყო მიწვეული. ღონისძიების ბოლოს გაიმართა ფეიერვერკი და სადღესასწაულო ვახშამი.

მეტრის ნომინანტები

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ და გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდნენ ცნობილი ადამიანები ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში „მეტრი“.

ესენი არიან:

ვაჟა აზარაშვილი - კომპოზიტორი;

გოდერძი გონაშვილი - ინდმეწარმე;

გივი თოიძე - მხატვარი;

გიზო ჟორდანია - რეჟისორი;

თენგიზ მუშკუდიანი -კონსერვატორიის მენტორი;

როგიზონ ნატროშვილი- ფერმერი;

მერაბ როგიტაშვილი - ენტომოლოგი;

რეზო ტაკიძე -დირიჟორი;

რეზო ჩხეიძე - კინორეჟოსორი;

ელდარ შენგელაია - კინორეჟისორი;

ვულოცავთ თითოეულ მათგანს „მეტრის“ ნომინანტობას და კვლავაც ვუსურვებთ პროფესიულ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საამაყოდ.

შენიშვნა: „მეტრი“ არის ფრანგული სიტყვა და ნიშნავს: მასწავლებელი, მოძღვარი. იგი ენიჭება პროფესიაში ხანგრძლივად მოღვაწე წარმატებულ ადამიანებს.

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ასევე გამოვლინდა წლის საუკეთესო გადაცემა „დედოფლისწყაროს საათი“ და წლის საუკეთესო ახალი ტელეარხი „GDS“, ხოლო 2013 წლის საუკეთესო გაზეთებად დასახელდნენ: - **„შირაქი“, „ბორჯომი“** და **„საქართველოს რესპუბლიკა“**.

„საქართველოს ლირიკის“ ათი წლის იუბილეზე

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პოეტთა და პროზაიკოსთა გაზეთის „საქართველოს ლირიკის“ ათი წლის საიუბილეო საღამო.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მთავარ რედაქტორს ეთერ ფაცურიას და რედაქტორის მოადგილეს ნანა ჭიჭინაძეს ნაყოფიერი ჟურნალისტური მოღვაწეობისთვის „ქართული ჟურნალისტიკის ამაგდარის“ წოდება მიანიჭა და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

ეთერ ფაცურიამ ისაუბრა გაზეთის დაარსებიდან დღემდე სარედაქციო საბჭოს წევრების გაწეული მუშაობის შესახებ.

იუბილარს მიესალმნენ და თბილი სიტყვებით მიმართეს კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, ოპერის მომღერალმა არმაზ დარაშვილმა, კინოსა და თეატრის მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ, ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა ავთანდილ დანელიამ, საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლმა ია ბაგრატიონმა, პოეტმა მარინე ცხვედიაშვილმა, გამოჩენილი ტენორის ზურაბ ანჯაფარიძის მეუღლემ მარინა მაჭავარიანმა, შპს „სალბუნი ფარმას“ ბუღალტერმა ნანა საბიაშვილმა, მხატვრებმა: რეზო ადამიამ, ჯემალ კუხალაშვილმა, გივი თოიძემ და სხვებმა.

საიუბილეო საღამო დაამშვენა მხატვარ ქეთი მხეიძის პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც „საქართველოს ლირიკის“ იუბილეს მიეძღვნა.

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა რედაქტორის მოადგილე ნანა ჭიჭინაძე. საღამოს სპონსორი გახლდათ მეცხვარეობის ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი,

„ოქროს“ სპონსორი- პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი ირმა გიგანი, რომელმაც ჩვეული მომხიბვლელობით შეასრულა შოპენის ბრწყინვალე ნაწარმოებები.

საინფორმაციო მხარდამჭერი ახალი არხი „GDS“, გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“, „ჯორჯია თუ დეი“, „პრაიმ ტაიმი“, ინტერნეტგაზეთი „ქიზიყი“ და „შირაქი“.

პროექტის მხარდაჭერისთვის გაზეთი „საქართველოს ლირიკის“ რედაქცია მადლობას უხდის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს მარიამ ჭყონიას.

ილია მარტყოფლიშვილი

როცა მშობლიური მიწის სურნელი არ გასვენებს

(მეხუთე გვერდიდან)

ამ დიდი მიღწევების მიუხედავად შეზღუდულები ვიყავით. საკმაოდ მძიმე დატვირთვაა დღეში ოთხი საათი ვარჯიში, როცა დარბაზი სულ რაღაც 40 კვადრატული მეტრია. ამასთან, გადასახდელია ქირა, კომუნალური და უამრავი გაუთვალისწინებელი ხარჯი. მაგრამ მე და ანდრეას მიხაილიდი ყველანაირად ვცდილობდით, შეგვექმნა საჭირო ატმოსფერო, დავრბოდით ყველგან-გამგეობაში, სპორტულ ფედერაციაში, სამინისტროში-იორღოს ორფანიოსთან, ბიზნესმენებთან, მეგობრებთან, მშობლებთან... არ დაგვიტოვებია არცერთი სტრუქტურა, თან დავატარებდით უამრავ დიპლომს და მედლებს, გვინდოდა, შეეგნოთ, რას ვაკეთებდით და რის მიღწევას ვცდილობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ფულზე იყო გათვლილი. სადაც არ უნდა მივსულიყავით, პირველი კითხვა მოგება-წაგების ბალანსი იყო... ეს მწარე სიმართლეა!

ასეთი პირობების მიუხედავად, მაინც შევძელით და საკუთარი ხარჯებით მოვაწყეთ საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრების შეხვედრა ათენში 2007 წლის 20 ოქტომბერს. 4 თვე და უზარმაზარი ხარჯები დაგვიჯდა მე და ანდრეასს ეს საქმე და იმის მაგივრად, რომ მსოფლიო სახელი მოგვეპოვებინა, რაც ჩაფიქრებული იყო, იმედგაცრუებით და სულიერი ტკივილით დაგვაჯილდოვა ცხოვრებამ... უკან არ დავიხიეთ და უფრო წინ გადავდგით ნაბიჯი-საქართველოში ჩამოვაყალიბეთ საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაცია, რომლის პრეზიდენტია განთქმული ძიუდოისტი და სამბოს ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი თენგიზ გუმაშვილი.

6 წლის მანძილზე, რაც ეს ფედერაცია არსებობს, 200-მდე ბავშვი გამოზარდა და დიდი შედეგები მოხსნა რამდენიმე სახეობაში. სანდაში მოვიგეთ საერთაშორისო ტურნირი თბილისში, 2010 წელს გოჩა ჯანელიძემ მოუგო ირანელ მძიმეწონოსანს, ხოლო გიორგი ღულუნიშვილმა მოუგო სომეხ ევროპის ჩემპიონს. 2011 წლის ივნისში მოვიგეთ შავი ზღვის თასის ტურნირი კიკ-ბოქსში, სადაც შვიდიდან ხუთმა აიღო პირველი ადგილი.

გვყავს 4 გამოცდილი მასწავლებელი, ჩემპიონები და კარგად გამართული, მოწყობილი დარბაზი. ეს მე და ანდრეასს 30 ათასი ევრო დაგვიჯდა. ჩვენმა სპორტსმენებმა თავიანთი პირობების ფონზე, უზარმაზარი შედეგები მოხსნეს. იმ მართლა გმირ ბიჭებს და გოგოებს, ვინც უცხოეთში შრომით და ბრძოლით დაიმსახურა ჯილდოები, წოდებები, სახელი და დიდება, ახლა უფრო მეტი დახმარება სჭირდება ჩვენი საზოგადოებისგან, იმ საზოგადოებისგან, სადაც ისინი დაიბადნენ და რომლის სისხლხორცეულ ნაწილსაც წარმოვადგენთ თითოეული...

მინდა, სიამაყით გაგაცნოთ ჩვენი კლუბის შემადგენლობა: ანდრეას მიხაილიდი-პრეზიდენტი, ალექსი ავრამიდისი-ექიმ-ექსპერტი, უჩა რამაზის ძე მეტრეველი-პირველი მოსწავლე, ნუნუკა და ნიკი სეხნიაშვილები, გოჩა ჯანელიძე და თენგიზ სტამოსი, სპარტაკ დევლიანიდისი და ავთანდილ კიკნაძე, სპარტაკ ხოზრევანიძე, გიორგი გაბიტაშვილი, დიმიტრი თეთრაშვილი, სოფო და ლიკა ყეინაშვილები, ლაშა და ჯონი მოსიაშვილები, ნიკა ჩიტიშვილი, ლადო ნადირაშვილი, გიორგი ღულუნიშვილი, ზაზა ბოსტოლანაშვილი, შოთიკო ბიკაშვილი, ილო დაიაური, ლევან თეთრაული და სხვა და სხვა, 200-ზე მეტი კაცია, ვინც 2003 წლის სექტემბრიდან 2012 წლის დეკემბრამდე იბრძოლა, იშრომა და მეხსიერებაში სამუდამოდ დატოვა დიდი სიხარული, დიდი სახელი, ნამდვილი გმირობა და ნამდვილი პირველობა.

მე მუდამ მინდოდა და მინდა, რომ ყველა ჩვენი სპორტსმენი იყოს ყველაზე ძლიერი და წარმატებული, მოიპოვონ მსოფლიო სახელი და, რაც მთავარია, იყვნენ ადამიანები, უბრალოდ, ადამიანები...“

* * *

მიხეილ სეხნიაშვილს საამაყოდ ისიც ეყოფა, რომ მისი ქალიშვილები: 17 წლის ნუნუკა სეხნიაშვილი ხუთგზის, ხოლო 16 წლის ნიკი სეხნიაშვილი სამგზის საბერძნეთის ჩემპიონები არიან კიკ-ბოქსინგში.

* * *

წლები გადიოდა და ბოლო პერიოდში სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ფედერაციამ დედოფლისწყაროში მუშაობა შეასუსტა. ამ ცოტა ხნის წინ კი მიხეილ სეხნიაშვილი საბერძნეთიდან მშობლიურ რაიონში დაბრუნდა, ისევ მოუბრუნდა საყვარელ საქმეს, გაანაახლა სპორტული დარბაზი, აღჭურვა თანამედროვე ინვენტარით და ვარჯიშისთვის ყველა პირობა შექმნა. დღეს აქ უკვე ინტენსიური ვარჯიში მიმდინარეობს.

- მე მინდა, ჩემი რაიონის ახალგაზრდობა იყოს ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი, საღად მოაზროვნე, ქრისტიანული ზნეობის მატარებელი, თავის ქვეყანაზე შეყვარებული და ფიზიკურად ძლიერი. ღმერთმა ნუ ქნას, დაგვჭირდეს, მაგრამ ჩვენ ხომ სასაზღვრო რაიონი ვართ, ამიტომ ფიზიკურ სიძლიერეს, ამტანობას და გამძლეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მინდა, გავზარდო მაღალი დონის სპორტსმენები, რომლებიც ჩვენი რაიონის სახელს ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს მასშტაბით გაიტანენ, - განაცხადა ჩვენთან საუბარში მიხეილმა. იმედს გამოვთქვამთ, რომ მას ასეთი ხმამაღალი განცხადების კომპეტენცია აქვს და წარმატებებს ვუსურვებთ.

ნაირა გორაშვილი

მეტეხის ხიდს 100 000 მოწამის სახელი ეწოდა



თბილისის საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე დეპუტატებმა დედაქალაქში არსებული უსახელო ქუჩებისათვის ახალი სახელების მინიჭებაზე იმსჯელეს.

ახალი სახელი მიენიჭა დედაქალაქში არსებულ 16 უსახელო ქუჩას.

დღევანდელ სხდომაზე დამატებით საკითხად განიხილეს ზაზა გაბუნიას ინიციატივა, რომ მეტეხის ხიდს ეწოდოს 100 000 მოწამის სახელი.

როგორც საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უკვდავყოფს საქართველოს უმნიშვნელოვანესი ადამიანების სახელს.

იყიდება

იყიდება 1,5 ჰა მიწაზე მდებარე ახალაშენებული ფერმა 1000 კვადრატული მეტრი ფართობითა და 500 ტონიანი საწყობით. ფასი 125 000 $. ასევე იყიდება სოფელ თავწყაროზე 25 ჰა სახნავ-სათესი მიწა, ფასი 25 000 $. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ

595 26 12 64 იკითხეთ ვახო.

იყიდება

ტრაქტორზე მისაბმელი: საღერღი(სიმინდის, ხორბლის, ქერის, მზესუმზირის), სასუქის საშლელი ძაბრი, უაზ-69 ის ხიდები სამხედრო(წინა და უკანა), ორლულიანი 16 კალიბრიანი თოფი (ტულის გამოშვების). ნოლფაზიანი შესადუღებელი მოწყობილობა. მსურველები დაგვიკავშირდით: ქალაქი დედოფლისწყარო, ერეკლეს ქუჩა N 24.

ტელ: 599-19-39-98

ნინო ნადირაძე

ჩემო საყვარელო შვილო, 39 წელი გავიდა, რომელიც ჩვენ საუკუნედ გვეჩვენება. შვილის გარდაცვალებით მიღებული მწუხარება და ნაღველი მთელი ცხოვრება გრძელდება. რთულია, დაამარცხო ტკივილი, რომელიც ყოველ წამს და წუთს გახსოვს, შვილო ნინო. ჩემს გულში შენს სიყვარულს ვერავინ შეცვლის. კარგი შვილი იყავი და მე ვამაყობდი შენით. შვილის მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა, ვერავინ და ვერაფერი განკურნავს ამ ტკივილს. ნეტავ იცოდე, როგორ უსაშველოდ გვენატრები ყველას, როგორ გვინდოდა, დიდხანს გეცოცხლა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარეთ ულმობელ სიკვდილთან ჭიდილში.

ნინო, შენს სულს დავიწყება არ უწერია. ჩემს მიერ დანთებულმა სანთლებმა მუდამ გაგინათოს სასუფეველი. ყველას გვენატრები. შენი ძმა და უცნობი ძმისშვილები შენს სურათს სიყვარულით დაჰყურებენ და შენთვის ლოცულობენ. შენ მუდამ ჩვენთან იქნები.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.

გწამდეს რომ არასოდეს დაგივიწყებთ!

შენზე მტირალი მამა გურამ ნადირაძე

მეუღლე გულიკო მაჩაბლიშვილი, შვილები:ცისმარი, დომიკო ალადაშვილები, რძალი მაკა ახვლედიანი, სიძე დათო ძიძიკაშვილი, შვილიშვილი გიორგი ალადაშვილი, სიდედრი ნორა, ცოლისძმა კაკო, ცოლისდა ეთერ მაჩაბლიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გივი ალადაშვილის

ტრაგიკულ გარდაცვალებას. დაიკრძალა 2013 წელს, 19 დეკემბერს, ქალაქ თბილისში.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკის ყოფილი დაკომპლექტება - დამუშავების განყოფილების თანამშრომლები: ლია ფიროსმანაშვილი, ციური ბენაშვილი, ანგელინა ღორაშვილი, მანანა ჯანაშვილი, ლილი მნათობიშვილი და მარგო იაკობიშვილი ოჯახებით იუწყებიან

მაყვალა ლაპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს ტრანსპორტელის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლოლა და კარდინალ ბაღაშვილებს

ნადიას

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალური საბიბლიოთეკო გაერთიანების ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლები იუწყებიან

მაყვალა ლაპიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინგა და ირმა შიოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო და მიხეილ ბახუტაშვილებს დეიდის

ნინო გურგენიძის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო და მიხეილ ბახუტაშვილებს დეიდის

ნინო გურგენიძის

გარდაცვალების გამო.

მონატრება

ნოდარ და ნარიმან იაკობიშვილები

სიკვდილზე შემზარავი და მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა ამქვეყნად.

ჩემო საყვარელო ძმაო, ნოდარ, მინდა მოგილოცო დაბადების დღე გაზეთის იმ მტკივნეული გვერდიდან, საიდანაც ეფერებიან და ულოცავენ მარადისობაში გარდასულ ახლობლებს.

ნოდარ, 20 იანვარს შენ გახდებოდი 56წლის, მაგრამ ვაი, რომ აღარ გეღირსა ამ იუბილის აღნიშვნა. შენ ერთი დღის ავადმყოფმა უცებ დაგვტოვე და 3 ოქტომბერს მარადისობაში გადაინაცვლე.

სიკვდილი ვერაფერს დააკლებს იმ სიყვარულს, რაც შენ დატოვე ამქვეყნად. შენ იყავი ალალი, წმინდა სულის უსპეტაკესი ადამიანი. დიდთან დიდი, პატარასთან პატარა. ყველასთვის ერთგული და უანგარო ადამიანი. მარტო შენს მიმართ იყავი ულმობელი. დიდი გაუსაძლისი ტკივილი დაგვიტოვე ყველას, შენს გაუბედურებულ დედას საფლავი წაართვი. ენატრები შენს ორ ვაჟკაცს და ერთადერთ დას,დისშვილებს და მათ შვილებს, რომლებიც ცხარე ცრემლით დაგტიროდნენ საყვარელ „პაპიას“.

ნოდარ, მამამ, რომ იტყვიან „რკინის კაცმა“, ვერ გაუძლო შენგან მიყენებულ ტკივილს და ორ თვეში ისიც გარდაიცვალა. ორ იანვარს მამა გახდებოდა 87 წლის. ნეტავი შენც გეცოცხლა, ძმაო, ამ ასაკამდე.

მაგრამ ღმერთის ნებას წინ ვერავინ დაუდგება. ნათელში გამყოფოთ ორივე. 20 იანვარს მოვედით თქვენს საფლავებთან . აგინთეთ წმინდა სანთლები, რათა პატივი მივაგოთ თქვენს ნათელ ხსოვნას და წმინდა სულებს.

დაე, მსუბუქი იყოს თქვენ გულზე დაყრილი მიწა. ნოდარ, უზომოდ გვიყვარხართ და გვენატრებით, ღმერთს ებარებოდეს თქვენი სულები.

დედა: ნაზიკო, **შვილები:** ალიკა, ლაშა.
დისშვილები: კახი, დათო.

გულო შანშიაშვილი

ჩვენგან წავიდა სკოლამდელი აღზრდის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული, ნიჭიერი აღმზრდელი გულო მიხეილის ასული შანშიაშვილი. მან ჯერ გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ა. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაამთავრა. მან ისე გაითავისა სკოლამდელი აღზრდის სპეციალობა, იმ დონეზე შეუყვარდა პატარები და მათთან მუშაობა, რომ დაწყებით კლასებში გადასვლა არც კი უფიქრია. ქალბატონი გულო წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რაიონის აღმზრდელთა მეთოდგაერთიანებას, რომელიც პერიოდულად ტარდებოდა. აქ აღმზრდელები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ, საუბრობდნენ მიღწეულ წარმატებებზე და ეძებდნენ გზებს მომავალი თაობის უკეთ აღზრდის მიზნით. ის ოცი წელი ერთგულად ემსახურა ამ საპატიო საქმეს.

იმ პერიოდის რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა დადებითად აფასებდა მის პედაგოგიურ ღვაწლს.

ყოფილი რაიონის განათლების განყოფილების პროფკავშირის თავმჯდომარე მერი თარაშვილი

გულო შანშიაშვილი

გულიკო, მალე 40 დღე გავა, რაც დაგვტოვე და მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე გულში. შენი ავადმყოფობა ყველამ ვიცოდით, ვიცოდით როგორც ფიზიკური, ისე შენი სულიერი ტანჯვაც კარგად გვესმოდა, არაფერს ვიშურებდით, რომ ეს ტკივილი შეგვემსუბუქებინა შენთვის, გვერდში გედგნენ შვილები, შვილიშვილები, დები, დისშვილები და მულისშვილები, მაგრამ უძლურები აღმოვჩნდით. შვებას პოულობდი ხელსაქმეში, კარგად ქსოვდი, კერავდი და ქარგავდი, შენი შვილიშვილების წარმატებებით ხარობდი. გიორგის, საბას და თორნიკეს სტუდენტობას მოესწარი, ისინიც მზრუნველობით თავს დაგტრიალებდნენ. მაგრამ ბოლო ორი თვე გაგიჭირდა, ჩემო საყვარელო დაიკო, ერთბაშად შემოგიტია ყველა დაავადებამ და ვეღარ გაუძლო შენმა გულმა. ორი თვე ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე არც შენს დებს და არც შენს საყვარელ შვილებს - მარინას და ემზარის. შენ ხომ ძალიან აფასებდი შენს სიძეს, თამაზის, მისი წყალობით ზრუნვა არ მოგკლებია, არც ავადმყოფობის ჟამს არ დაუკვლია არაფერი. გვაპატიე, დაიკო, თუ ჩენს მწუხარებას ისე ვერ გამოვხატავდით, როგორც იმსახურებდი.

ილოცე შენი საყვარელი შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის და ახლობლებისათვის, ახლაც ყურში ჩამესმის შენი ბოლო სიტყვები- მიყვარხართ, ჩემო კარგებოო, შენც ძალიან გვიყვარხარ და გვაკლიხარ, ჩემო დაიკო.

შენი მოსიყვარულე და ნანა შანშიაშვილი.

მარინე პაპაჩაშვილის და ვახტანგ ხმალაძის ოჯახი იუწყება

ლიანა ჯანაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

მეუღლე ნორა, შვილები: კაკო, ეთერი, გულიკო; შვილიშვილები: ცისმარი, დომიკო ალადაშვილები, ნონა, ზურიკო მაჩაბლიშვილები, მაკა, ეკა ნატროშვილები, რძლები: მანანა ბოსტოღანაშვილი, ნინო ზედელაშვილი, მაკა ახვლედიანი, სიძეები: ზაურ ნატროშვილი, დათო ძიძიკაშვილი, ვასო ლომიძე, მიშიკო კუპატაძე, დათო მეტრეველი, შვილთაშვილები: შორენა, გიორგი, ლაშა, გიორგი, ნინო, ტარიელი, მარი იუწყებიან

ზურაბ მაჩაბლიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 2013 წლის 21 დეკემბერს, სოფელ არბოშიკში.

მეუღლე ვალიკო; შვილები: დათო, ვალერი. რძლები: ლარისა ევდაკიმოვა, მედეა გოდერძიშვილი; შვილიშვილები: ნინო, მარიამი. და დალი, ძმა მერაბი; მძახლები: ნინა ევდაკიმოვა, ჟანა გოდერძიშვილი, მაზლი გოგია; რძლები, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ლიანა ჯანაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 23 იანვარს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

ვინ უხელმძღვანელებს „რესპუბლიკურ პარტიას“ დედოფლისწყაროში?

კახეთის რეგიონში „რესპუბლიკური პარტიის“ რაიონული ორგანიზაციების კრებები გაიმართა. პარტიის წევრებმა რაიონული ორგანიზაციების და სარევიზიო კომისიების წევრები და ხელმძღვანელები არჩიეს. ზოგიერთ ქალაქში გამართულ სხდომას რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე პირადად დაესწრო.

12 იანვარს პარტიული სხდომა დედოფლისწყაროშიც გაიმართა, რაიონული ორგანიზაციის კომიტეტში აირჩიეს აკაკი ნატროშვილი, ილია ნატროშვილი; ილია დათუკიშვილი; თურმან კოჭლამაზაშვილი; მამუკა კოჭლამაზაშვილი და ნონა ნიკოაშვილი.

რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარედ თურმან კოჭლამაზაშვილი აირჩიეს, ის ორგანიზაციას 1 წლის ვადით უხელმძღვანელებს. მისი მოადგილე კვლავაც აკაკი ნატროშვილი იქნება.

თურმან კოჭლამაზაშვილი პარალელურად სოფელ არბოშიკის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია.

როგორც რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე თურმან კოჭლამაზაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ის რაიონული ორგანიზაციის განვითარებაზე იზრუნებს.

„კომიტეტის ექვსმა წევრმა თავმჯდომრის პოსტზე მხარი მე დამიჭირა. შემდეგ, ჩემი წარდგინებით მოხდა მოადგილის არჩევაც. პარტიის ზოგიერთმა წევრმა გადაწყვიტა, რომ ჩვენი რიგები დატოვოს, შემოგვიერთდნენ ახალი სახეებიც. მოხდა გადახალასება და ახლა მუშაობას შევუდგებით. ცხადია, მინდა, რომ პარტია გაძლიერდეს და დაინტერესებული ვარ მისი ნაყოფიერი მუშაობით. ამიტომ, ვცდილობთ, აქტიური ადამიანები შემოვიკრიბოთ და ერთობლივად ვიმუშაოთ. მომავალ წელს შიდა არჩევნები კიდევ გაიმართება,“ - აღნიშნავს თურმან კოჭლამაზაშვილი.

ამ დრომდე „რესპუბლიკური პარტიის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციას ნოდარ ტოკლიკიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც სოფელ ზემო მაჩხაანის რწმუნებულის პოსტს იკავებდა. 2013 წლის ივნისში თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ კი ტოკლიკიშვილი აცხადებდა, რომ თვითმმართველობებს „რესპუბლიკელებისგან“ წმენდენ და სწორედ ამიტომ გაათავისუფლეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ვალერი ჯანაშვილს! მედეა გოდერძიშვილს!

გვინდა მოგილოცოთ შვილის, პატარა მარიამის დაბადება, რომელმაც დედობის უბედნიერესი გრძნობა დაგაუფლათ და მამობის უდიდესი განცდა გაგრძნობინათ, რაც ყველას ძალიან გვახარებს.

მარიამს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, უდარდელ ბავშვობას, სასახელო ქალბატონი გაზრდილიყოს.

უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს.

სიყვარულით,
ნიაზი, ნათელა, სოსო ჯანაშვილები.

მამა პეტრე ხუმარაშვილს!

დედოფლისწყაროს სამლოცველო სახლის მრევლი ულოცავს მამა პეტრე ხუმარაშვილს დეკანოზის წოდების მინიჭებას და ოქროს ჯვრის ხარისხში აყვანას.

ქეთი ბენაშვილს!

ჩვენო ძვირფასო ქეთი, თვალსა და ხელს შუა გაფრინდა წლები და შენ უკვე 20 წლის ქალიშვილი ხარ. გილოცავთ, იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი, ისეთივე მშვენიერი იყოს შენი ცხოვრება, როგორიც თავად ხარ. გვეამაყება, რომ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ხარ. წარმატებებს გისურვებთ სწავლასა და პირად ცხოვრებაში. უფალი გფარავდეს.

სიყვარულით,
დედა ია, **მამა** ემზარი, **და** ლიკა, **ძმა** ლევანი, **მამიდა** ლალი, **პაპა** უშანგი, **ბებია** იზოლდა ბენაშვილები.

ირაკლი ბიბილურს! ნანა ჩაფიძეს!

ქეთინო მჭედლიშვილს ვულოცავთ შვილის - ირაკლის დაოჯახებას. ახალგაზრდებს ვუსურვებთ ბედნიერებას და ულევ სიხარულს, მტკიცე და სამაგალითო ქართული ოჯახის შექმნას.

დღევანდელი სიყვარულის სურნელით იყოს გაჟღენთილი თქვენი მომავალი.

მუზეუმის თანამშრომლები.

სოსიკო ღულუნიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას. გაზრდილიყავი სასახელო ვაჟკაცი, ისეთი, რომ ეამაყოს შენით პაპას და ბებიკოს. გფარავდეს ღმერთი.

ბიძა გიორგი ღულუნიშვილი, **ბიცოლა** მაია ყოჩიაშვილი, **პაპა** იოსებ ღულუნიშვილი, **ბებია** ანნა ველთიური.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს ქალბატონ მაია ყოჩიაშვილს და სააღმზრდელო ცენტრის ყველა თანამშრომელს ვულოცავთ შობა-ახალ წელს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უფალი ფარავდეს თქვენს ოჯახებს.

პატივისცემით,
ოზაანის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

შეჩერდება თუ არა ესკალაცია უკრაინაში?

უკრაინა კვლავ რჩება მსოფლიო ყურადღების ცენტრში. ორთვიანი აქციების შემდეგ ქვეყანაში მდგომარეობა ბოლო დღეებში უაღრესად დაიძაბა. მომიტინგეებსა და ბერკუტს შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად არიან დაღუპულები. მოსახლეობა ამბობს, რომ ამ მოვლენების შემდეგ, იანუკოვიჩს ხელისუფლებაში დარჩენის მორალური უფლება აღარ აქვს და ის უნდა გადადგეს. ოპოზიციის ლიდერები პრეზიდენტს შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ გაცხადდა, რომ 28 იანვარს უკრაინაში პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გაიმართება. ის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან შეხვედრის შემდეგ დანიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ ვლადიმირ რიბაკმა. ამასობაში კიევის ცენტრში საპროტესტო აქციები გრძელდება. ბოლო დღეებთან შედარებით მშვიდი ვითარებაა.

უკრაინის პრეზიდენტმა ხუთშაბათს კიევში, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრისას, განაცხადა, რომ უკრაინაში შექმნილი ვითარების განსახილველად აუცილებლად მიიჩნევს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ჩატარებას. თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარემ ვლადიმირ რიბაკმა თქვა, რომ სხდომაზე შესაძლოა განიხილონ ოპოზიციის მოწოდება მთავრობის დათხოვნის შესახებ.

ამ განცხადებების შემდეგ ნათელი არ არის, ძალაში რჩება თუ არა 24-საათიანი ულტიმატუმი, რომელიც ოპოზიციის ლიდერებმა წაუყენეს პრეზიდენტ იანუკოვიჩს, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით. როგორც ჩანს, ულტიმატუმი არ რჩება ძალაში, რადგან საინტერნეტო გამოცემა „უკრაინსკაია პრავდას“ ცნობით, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ოლეგ ტიაჰნიბოკმა, დღეს ოპოზიციის პირველ მოთხოვნად დაასახელა პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა, რათა იქ განიხილონ მთავრობის გადადგომის საკითხი. პარლამენტის სხდომა, როგორც უკვე ვიცით, 28 იანვარს ჩატარდება. ოპოზიცია მოითხოვს ასევე ახალი კონსტიტუციის მიღებას და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარებას.

ამ მოთხოვნების შესასრულებლად იმიტომ არ ვიბრძვით, რომ ჩვენ დაგვრჩეს გამარჯვებაო, თქვა კიევის ცენტრში უცხოელ ჟურნალისტებთან საუბრისას ოპოზიციის ლიდერმა ვიტალი კლიჩკომ პრეზიდენტ იანუკოვიჩთან შეხვედრაზე წასვლამდე:

„გამარჯვება-დამარცხება აქ არაფერ შუაშია! გამარჯვებულია ჩემი ქვეყანა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! მინდა ვცხოვრობდე ევროპულ, დემოკრატიულ ქვეყანაში, კორუფციის გარეშე. მთავარი საკითხია ადამიანის უფლებები. ახლა ეს არა გვაქვს. ამიტომაა, რომ ეს ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ამიტომაა, რომ ხალხი დემონსტრაციებში მონაწილეობს! ეს აქციები მშვიდობიანი იყო თითქმის ორი თვე - დღე და ღამე, წვიმასა და თოვლში... ხალხი იდგა და ახლა უკვე აღარა გვაქვს დგომის უფლება. ვცდილობთ შევაჩეროთ ეს ესკალაცია, მაგრამ პრეზიდენტს აქვს მთელი ძალაუფლება ამის გასაკეთებლად“.

ესკალაციას რაც შეეხება, ოთხშაბათი, 22 იანვარი, იყო ყველაზე დაძაბული და ტრაგიკული დღე უკრაინაში, საპროტესტო აქციების ორი თვის ნინ დაწყების შემდეგ: პირველად დაიღუპნენ ადამიანები - სულ ცოტა, სამი მამაკაცი. დაშავდა 300-მდე ადამიანი.

უკრაინის პრეზიდენტი ევროკავშირს დაჰპირდა, რომ არ გამოაცხადებს საგანგებო მდგომარეობას მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციები გრძელდება. ევროკომისიის პრესმდივანმა ხუთშაბათს ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ იანუკოვიჩისაგან ეს დაპირება მიიღო ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ სატელეფონო საუბრისას.

ევროკომისიის პრესმდივნის ოლივიე ბეილის ცნობით, ბაროზუმ შეშფოთება გამოთქვა კიევში ძალადობის ესკალაციის გამო და პრეზიდენტ იანუკოვიჩს შესთავაზა ოპოზიციასთან დიალოგის ხელშეწყობა:

„პრეზიდენტმა ბაროზუმ ასევე უთხრა ბატონ იანუკოვიჩს, რომ, რასაკვირველია, მზად ვართ დიალოგისთვის და ვითარების განმუხტვის ხელშესაწყობად. ამიტომ ევროკომისიის პრეზიდენტმა მას შესთავაზა, რომ ევროკომისარი შტეფან ფულე ხვალ გაემგზავრება კიევში და ამ შეხვედრების შემდეგ შესაძლოა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ვიცე-პრეზიდენტი კეტრინ ეშტონი ჩაფრინდეს კიევში მომავალ კვირაში“.

როგორც ცნობილია, საპროტესტო აქციები, რომლებიც ძარშან, ნოემბერში, მოჰყვა უკრაინის პრეზიდენტის მოულოდნელ გადაწყვეტილებას, უარი ეთქვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე, რამდენიმე დღის წინ, კვირას გამწვავდა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა დაამტკიცა დემონსტრაციების შემზღუდველი ახალი კანონი.

ყველა ახლა 28 იანვარს ელოდება, დღეს, რომელმაც უნდა მოახერხოს უკრაინაში ესკალაციის შეჩერება.

მანამდე კი, კიევში დემონსტრანტები საპროტესტო ბანაკს აფართოებენ მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დასრულდა უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან ოპოზიციის წარმომადგენლების მოლაპარაკება. დემონსტრანტებმა ახალი ბარიკადები აღმართეს კიევის ცენტრში, დამოუკიდებლობის მოედანზე. კიევში აქციის მონაწილე ოლქსანდრი დღეს საინფორმაციო სააგენტო "როიტერსის" კორესპონდენტს ესაუბრა დემონსტრანტების მზადებაზე: „ბარიკადები იმიტომ ავაშენეთ, რომ, თუ უცებ ბერკუტი გადაწყვეტს შეტევას, ანუ შტურმზე წამოსვლას, აქ, სულ ცოტა, შევაჩეროთ მაინც“. იუწყებიან ასევე, რომ კიევში დემონსტრანტები შეიჭრნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, თუმცა ზავი, როგორც ჩანს, ძალაში რჩება მილიციელებსა და აქციის მონაწილეებს შორის მძიმე შეტაკებებიდან ორი დღის შემდეგ. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს დაადასტურა, რომ 22 იანვარს დაღუპული აქტივისტებიდან ორს აღენიშნება ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები, მაგრამ სამინისტრო უარყოფს ყოველგვარ პასუხისმგებლობას. 24 იანვარს კიევში ჩადის ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, შტეფან ფულე, პოლიტიკური დიალოგის ხელშესაწყობად.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ამინდი დედოფლისწყაროს

ორშაბათი 27.01	სამშაბათი 28.01	ოთხშაბათი 29.01	ხუთშაბათი 30.01	პარასკევი 31.01	შაბათი 01.02	კვირა 02.02
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
0 ° -1 °	2 ° 1 °	-1 ° -2 °	-4 ° -5 °	-4 ° -5 °	-5 ° -6 °	-5 ° -6 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K